პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 15

20206. "07" 02

ქ.თბილისი

შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №123 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, „ბუღალტრული აღრიცხვის" და „აღმზრდელის" საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწესებულებას შეუმცირდეს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განისაზღვროს 65-ით;
2. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51	66	ქართული	15	ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32
2	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	10	ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32
3	აღმზრდელი (1)	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული	10	ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32
4	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	15	ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32
5	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	15	ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №32

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო

პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის №2 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ნანა ყუფუნია

მდივანი
მარიამ ჩაგელიშვილი